მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია"-სა და ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"-ს სამშენებლო ფაკულტეტს
შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

31 მარტი, 2019 წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია" (ს/კ 405106415) წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ანა საბახტარიშვილის მიერ (შემდგომში „ასოციაცია") და

მეორე მხრივ, ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის" სამშენებლო ფაკულტეტი წარმოდგენილი ფაკულტეტის დეკანის დავით გურგენიძის სახით

შემდგომში ცალ-ცალკე წოდებული როგორც ,,მხარე", ხოლო ერთობლივად როგორც ,,მხარეები", ისწრაფვიან რა, ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ" მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია, მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მხარეებს შორის თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს:

- მემორანდუმის მხარეებს, როგორც განათლების განმახორციელებელსა და კერძო სექტორს შორის, ურთიერთთანამშრომლობის განვითარება და მხარეთა ძალისხმევით შრომის ბაზრის კვალიფიციული/ პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფა.
- მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის გზით, ერთი მხრივ, ასოციაციის წევრი კომპანიების დაინტერესების შემთხვევაში, მათი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით უზრუნველყოფა და მეორე მხრივ, ასოციაციის მიერ წევრ კომპანიებსა და ფაკულტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა და მათი ორმხრივი ინტერესების მხარდაჭერა.
- მხარეებს შორის ორმხრივი მაღალკვალიფიციური თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობენ ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ წინამდებარე მემორანდუმის მხარეთა პარალელურ და ეფექტურ მუშაობას მათი ინტერესების შესაბამისად.

2. სამშენებლო ფაკულტეტი, ასოციაციის მიმართვისა და შესაბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ასოციაციისთვის არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა/ კურსდამთავრებულთა მოძიებასა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, ასოციაციის წევრი კომპანიების საკადროს საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით.

3. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების პერიოდში, ასოციაცია უზრუნველყოფს შესაბამისი თემატიკის კუთხით მის მიერ ინიცირებული/ გამართული სხვადასხვა საჯარო შეხვედრების, კონფერენციები, პრეზენტაციების და სამუშაო შეხვედრების შესახებ მეორე მხარის ინფორმირებასა და ორმხრივი დაინტერესის არსებობის შემთხვევაში მის ჩართულობას.

4. ასოციაციის მიერ გამართული შესაბამის თემატიკის ღონისძიებებისას კომპანიებისთვის წინამდებარე მემორანდუმისა და მისი მეორე მხარის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

5. მხარეები წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებებს ასრულებენ ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

მუხლი 4. ერთობლივი საჯარო და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

1. მხარეები უფლებამოსილნი არიან დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი საჯარო თემატური და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.

2. მხარეები ერთმანეთს ანიჭებენ სრულ უფლებამოსილებას წინამდებარე მემორანდუმის რეალიზაციასთან დაკავშირებით გამოიყენონ ერთმანეთის საფირმო სახელწოდება, სავაჭრო და სასაქონლო ნიშნები საჯარო და საინფორმაციო მასალებსა და ღონისძიებებში.

3. მხარეები არ გააკეთებენ არ გაავრცელებენ არანაირ საჯარო განცხადებას ამ მემორანდუმის და მასთან დაკავშირებით მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ მეორე მხარის წინასწარი თანხმობის (წერილი, ელ.ფოსტა) გარეშე. ამასთან ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, რომ არ განაცხადოს ასეთ თანხმობაზე უსაფუძვლო უარი, ან არ გააჭიანუროს ასეთი თანხმობის გაცემა არაგონივრული ვადით. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას შეატყობინოს მეორეს ასეთი განცხადების გავრცელების სურვილის შესახებ და მიაწოდოს შესაბამისი განცხადების ტექსტი გონივრული ვადით ადრე.

მუხლი 5. მემორანდუმის ხანგრძლივობა და პირობები

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით.

2. თუ მხარეები ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე (წერილობითი ფორმით) არ გამოთქვამენ ამ მემორანდუმის შეწყვეტის სურვილს,

მემორანდუმის მოქმედების ვადა ყოველ წელს ავტომატურად გრძელდება მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

3. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ვადამდე, რომელიმე მხარის მიერ 1 (ერთი) თვით ადრე მხარეთათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4. მემორანდუმში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია ცვლილებისა და დამატების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით, წარმოადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

5. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი მემორანდუმის ბათილად ცნობას.

მუხლი 6. სხვა დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7. მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები

ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია'' ---------

აღმასრულებელი დირექტორი

ანა საბახტარიშვილი

_____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი,

პროფესორი დავით გურგენიძე

_____